

თუცა აიბადეს... ციხელთ და
„საქართველოდ“ არ დაეგვიტონოთ,
მაგრამ თქვენი ადრესი გავიგეთ და
ვიგზავნით.

5701

28

7. 40/142

საქართველო

თ ა ვ ი ს უ ზ ა ლ ი ო რ გ ა ნ ო

წლიური ფასი—5 მანეთი
თვითთვეული ნომერი—25 კაპ.



№ 1.

წელიწადი პირველი.

1 მაისი 1903 წ.

№ 1.

უმორჩილებად ვსთხოვთ ყველას, ვინც თანაგვიგზმნობს, მოგვწოდონ სიღრმე ყოველგვარი მასალა, როგორც ქართულის, ისე ფრანგულის გამომცემისათვის: დოკუმენტები, წიგნები, კორექტორული და წერილები.

რადგან ჩვენი გაზეთი ჯერ-ჯერობით ერთადერთი თავისუფალი ორგანოა, ამიტომ სიგ ადგილი დაეთმობა ყოველგვარ მიმართულების წერილებს, რომელთაც აზრად ქნებდათ

ქართველ ხალხის ინტერესთა გამცხარჩლება. მხოლოდ რედაქცია ამა თუ იმ წერილს თავის შენიშვნასაც გაუკეთებს.

მკითხველს ვსთხოვთ ყოველი ნომერი „საქართველოსი“, წაკითხვის შემდეგ, სხვებსაც გადასცეს სიღრმე, რათა ამ ხანით ხელი შეუწყოს ჩვენის გაზეთის გავრცელების საქმეს.

ყოველი შემოწმებული ნომერი როგორც ფულით, ისე წიგნებით, დიდის მადლობით მიიღება.

143

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

თავისუფალ ქართულ ორგანოს დაარსების საჭიროება.—ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ.—ჩვენის ცხოვრების მატრიანე (მღწერილი ამბები).—მუშათა მოძრაობა საქართველოში (ჩვენის კორექტორული სიტყვა).—თვით-მყიდველობის დამსახურება (საკუთარ კორექტორული სიტყვა).—რუსეთის ქრლიკა.—საერთოდ საპოლიციო დარაჯნი.—„საქართველოდ“ ფიქცია.

ქართულ თავისუფალ ორგანოს დაარსების საჭიროება.

ჩვენ ვაანხებთ საზღვარ-გარე ქართულ თავისუფალ ორგანოს, რათა შეგვეძლოს დამოუკიდებლად ვსთქვათ და სხვებსაც ვათქმევინოთ ყველაფერი, რაც საქართველოს აწინდელ უნუგემოდ მდგომარეობის და მის გაუმჯობესების შესახებ გვაქვს სათქმელი.

მომთინებასაც თავისი საზღვარი აქვს. ახი წელიწადი მინულის და შეურაცხყოფილის სიგოცნისა ძნელი და მძიმე განსაზღვრელი ყოფილა. გვეყვ, რაც გადაგვხდენია და მოგვითმენია. მწუხარებამ და დაჩაგვრამ ერთი რამ კარგი გვახსნავს: შევიგებით, რომ ვინაგ სიგოცნლე ჰსურს, თავის თავს თვითონვე უნდა მოუაროს და რომ თავისუფლება ხელგაუნძრეულად არავის ენიჭება.

ჩვენს უკან ბნელი წარსულია. უღმებელის ძალით გვაწება მძიმე ტვირთი ჩვენის შეგდომებისა, სიხუხუტისა და ჩვენის მტრის კადნიერებისა და ძალმომრეობისა. ამ წარსულსა და ჩვენს დამჩაგვრელ მტრს დღეს ანგარიში უნდა გაუწიოთ. დღეს ჩვენ

გვხურს სიბნელეს, გამოღურკვეველობას და გაუბედვლობას ზურგი შევაქციოთ და ქართულ თავისუფალ პოლიტიკურ აზრს თავისუფალ პოლიტიკურ მოქმედების ნიადაგი მოვუშადათ.

ჩვენის აზრის განსარტრციელებლად, სხვათა ტრის, ორს საშუალებას უნდა მივმართოთ. ვეცდებით გამოვამკარავოთ და გამოვამყდავროთ ყოველი ძალმომრეობა და უსამართლობა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ჩვენში ხჩადის. აგრეთვე საჭიროა გამოქვეყნება და გმობა ჩვენის ცხოვრების მინაურ უსამართლობა-უკულმართობისა. ხოლო ფაქტების გამოქვეყნება ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. ამიტომ, მეღრის მხრივ, საჭიროდ მიგვაჩნია ქართველ ერტვნების და ქართველ ხალხის მომავალ ერტვნულ და სოციალურ ორგანიზაციის შესახებაც ლაპარაკი.

ჩვენ უკვე თავი დავაღწიეთ იმ ხანას, როდესაც აზრი და მისწრაფება ოცნებით და ოხვრა-ნატვრით ხაზრდობს. ჩვენთვის საჭირო შეიქმნა კანონიერი გარანტია ჩვენის ხალხის დაცვისა და განვითარებისა. და ამ გარანტიას ჩვენ მხოლოდ პოლიტიკურ და ერტვნულ დაწესებულებათა დამყარება მოგვანიჭებს.

ამიტომ იხივ უნდა ვსთქვათ, თუ ჩვენთვის რა გვარი დაწესებულებანი არიან საჭირონი. მხოლოდ, როგორც ფაქტების გამოქვეყნების საქმეში, ისე თეორიულ კითხვათა განმარტებისათვის ვიწვევთ ჩვენდა დახანმარებლად მთელ ჩვენს ხალხს და საზოგადოებას. წინდაწინვე ვგზმნობთ საქმის სიბნელეს და ადვიარებით, რომ ამ ორგანოს ცხოველყოფილება და ნაყოფიერი მოქმედება ქართველ საზოგადოების ხელ-

შია. მხლელდ იმის თანაგრძნობას, მატერიალურ, სწავლებრივ-გონებრივ შემწეობას შეუძლია ასულდგმულს ქართული თავისუფალი ორგანო.

ვინც ამ გაზეთში გამოთქმულ აზრებს არ დაეთანხმება, წინდაწინვე მოვასხენებთ, რომ მზად ვართ დავუთმოთ ადგილი ყველას, ვისაც კი რაიმე სათქმელი აქვს ქართველ ხალხის საკეთილდღეოდ. ამგვარ წერილებისათვის ჩვენს ორგანოში ცალკე განყოფილება გვექნება. სხვა-და-სხვა მიმართულების წერილების მოთავსების საშუალებით შევიძლებთ გავიგოთ, რას ჰფიქრობს მთელი საქართველო და არა ერთი რამელიმე მისი გუთხე, პრეზიდენია, წოდება და კლასი.

დასასტულ უნდა ვსთქვათ, რომ ქართულ თავისუფალ ორგანოსთან ერთად, ჩვენ ვაარსებთ ფრანგულ დამატებასაც, რომელსაც, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ქართულ გაზეთის ფრანგული გამოცემა, ერთის მხრივ, უნდა იყოს შუამავალი ქართველ ხალხის და რუსეთის მებრძოლ პარტიათა შორის. ამ პარტიებთან საჭიროა ჩვენი შეთანხმება, რათა რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა პრეგრამებში ქართულ ეროვნების კითხვაც იყოს შეტანილი.

მეორეს მხრივ ჩვენ გვხურს დასავლეთ ევროპასთანაც გაუმართოთ საუბარი. ევროპასაც უნდა გავაგრძნოთ საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავლის იმედი. რასაკვირველია, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ დღევანდელ პირობებში, საქართველო არ არის ევროპიელ დიპლომატიის მოქმედების ფარგალში. ჩვენ გვგხმის, რომ ქართული კითხვა არ არის დაკავშირებული ინტერნაციონალურ პოლიტიკასთან ისე, როგორც მაკედონელთა და სომეხთა კითხვაა მასთან დაკავშირებული. არ გვავიწყდება, რომ ევროპას განსწრასაც არა აქვს რუსეთის შინაურ პოლიტიკის საქმეებში ჩაერთობა. არც ფინლიანდია, არც პოლონეთი, არც საქართველო ევროპიელ სახელმწიფოთაგან დასმარებას არ მოელოან. მაგრამ თუ გამოსარჩლების იმედს ვერ ვიქონიებთ, ჩვენთვის ევროპის სწავლებრივი თანაგრძნობაც ძვირფასი იქმნებოდა, რადგან ამ თანაგრძნობით გაგამხსნევებდით და წავახალისებდით უსახლო, დაჩაგრულ პატარა ერს.

ამრიგად, თუ ქართულ პოლიტიკურ აზრს თავისუფალი გასავალი მივუვებით ამ ორგანოს დაარსებით, თუ მოვასხენებთ შეთანხმება რუსეთის ობოლნიგობასთან და ევროპაშიაც ჩვენი ხალხისადმი თანაგრძნობა მოვიპოვეთ, ჩვენი წადილი დაკმაყოფილებული იქმნება, შრომა წაქეზებული და იმედი გამაცოცხლებული.

მამ გაუმარჯოს ქართულ თავისუფალ აზრს!
გაუმარჯოს სინათლეს და თავისუფალ მოქმედებას!

ლია წიკილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიხედვით.

ამ წერილის საშუალებით იმისი აღიარება და თქმა კი არ გვინდა, რომ თვითვე ერს—რაც გინდ ბატარა იყო ეს ერი,—სივდგნის და თავისუფალ განვითარების უფლება უნდა ჰქონდეს. არა, რაც ყოველ სინიდიხიერ და გონებობაგანვითარებულ ადამიანისათვის ამკარაა, იმისი გმავდრება ამ კამად არ გვწადის.

ჩვენ გვინდა გაუწყდოთ რუსეთის სახელმწიფოში მყოფ ბატარა ერის, ქართველების, გაჭირვება, იმედი და გულისთქმა. გვინდა გავაგრძნოთ, რას ჰფიქრობენ და რისკენ მიიხწრაფვიან რუსეთის ერთ-ერთ განაპირა კუთხის—საქართველოს მკვიდრნი.

დიდი ხანია გულმოდგინეთ თვალყურს ვადევნებთ რუსეთის ობოლნიგიურ მოძრაობის წრდას. ამ მოძრაობას ჩვენს თვალში ყოველთვის ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთის მხრივ, ჩვენ ვხედავდით, რომ იგია მიმართული რუსეთის ხალხის პოლიტიკურ და გკონომიურ განთავისუფლებისაკენ. მეორეს მხრივ, იგივე მოძრაობა, ჩვენის შესედულბით, რუსეთის სასწვდრებში მყოფ ბატარა ერთა დამჩავგრულ მდგომარეობის გაუმჯობესობისკენ არის მიმართული. მართალია, რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მოქმედებასა და ნაწერებში ნათლად არ არის გამორკვეული ეროვნული კითხვა; მართალია, ჩვენ არ შეგვხედრია განმარტებული პრეგრამა განაპირა ქვეყნების მოწყობის შესახებ, მხლელდ ის პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელებს რუსეთის ობოლნიგობა, ყოველთვის იმედს გვაძლევდა, რომ ბატარა ერთა მდგომარეობა რუსეთში სამართლიანობით იქნება გამორკვეული და გათვალისწინებული.

მხლელდ დღემდე, როდესაც კი ჩამოვარდებოდა სოლმე რუსეთის ობოლნიგიის წრეებში ბატარა ერთა მდგომარეობის შესახებ ლაბარაკი, ფინლიანდელებს, პოლონელებს, მალდონელებს და სხვებს ასახელებდნენ და მათ შორის თითქმის არახდდეს იგონებდენ ქართველ ხალხს და საქართველოს. ამის მიხეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ წემდხსუნებულნი ერნი მოქმედებდნენ, იბრძოდნენ, თავიანთ მდგომარეობის შესახებ ლაბარაკებდენ, მაშინ როდესაც ქართველები მდრჩილნი და დადუშებულნი იყვნენ. მდრჩილება და დუშილი სხვებს უდონობის, არარაობის და გმავოფილების ნიშნად ეჩვენებოდათ. ქართულ კითხვა რუსეთის ობოლნიგობისათვის თითქმის არ არსებობდა, რადგან ეს ობოლნიგობა არ გვიცნობდა, არ იყო დარწმუნებული, რომ კულტურულ ცნდრებისთვის ჩვენც დდრე შეგვწევდა და რომ ამისათვის ჩვენც გვხურდა შეგვრჩინა ჩვენი ეროვნული პიროვნება.

ამ მხლელ ხანებში გარემოება შეიცვალა. რაც დღემდე დამალული და გამდუთქმელი იყო, იმდენად გაი-

წარდა და თვალსაჩინო გახდა, რომ მისი უარყოფა და დამალვა შეუძლებელი შეიქმნა. ერთ საუკუნის განმავლობაში გულში დაგებული მწუხარება, დაბდი, გამოუთქმელი გრძნობა და დაფარული აწრით, ერთად შეწავებული და დამწიფებული, გულის ხიდრმეში ადგილს ვეღარ ჰპოვებდა და გარედ გამბეჭტავს ჰლამბებს. დიად, საქართველოში იმდენად დამწიფდა დღემდე უწყალთ დაჩაგრული გრძნობა ერთვულ ვინაობისა, იმდენად განვითარდა პოლიტიკური თვითშეგნება, რომ დღეს ჩვენც, სხვაგვართ, ბრძოლის საერთო ფერხულში გვინდა ჩაგება და სხვაგვართან ერთად გვხურს ხელი შევუწყვოთ როგორც რუსეთის განთავისუფლების საქმეს, ისე საქართველოს ერთვულ ვინაობის აღდგენას და განმტკიცებას.

რუსეთის ობლზიციამ, პატარა ერთა კითხვის გარკვევის დროს, ჩვენის აწრით, უნდა ისე მძვინვარებდა, სხვათა მდრის, იმითიც, რასაც ჰფიქრობენ და ამბობენ თვით დაინტერესებულ ერთა წარმომადგენელთა წრეებში. და ეს თითქმის ერთად-ერთი სამართლიანი გადაწყვეტა იქმნება კითხვისა, რადგან ვის შეუძლიან, თუ არ თვით დაჩაგრულ ერს, უკეთესად იმისი თქმა, თუ რა ესაჭიროება, რა არის მისი მდონღვნილება და როგორია მისი იდეალები. გარდა ამისა, ამ კითხვათა გარკვევის დროს, ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიონ რუსეთის პოლიტიკური ველოიუცია, რადგან ვე ველოიუცია, ჩვენის აწრით, იმპერიის დეცენტრალიზაციისაკენ არის მიმართული. მამახადამე, დაინტერესებულ ერთა სურვილი, სიმართლისკენ მიდრეკილება და რუსეთის პოლიტიკურ ველოიუციის მდონღვნილება—აი ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა იყოს ამენებული ერთვული კითხვა რუსეთში.

ამიტომ, გვხურს გაუწყვოთ, რანაირია ჩვენი პოლიტიკური მდმღვრება და რა ხასიათისაა ჩვენი ერთვული მისწრაფება, რათა მდგაგონოთ, რომ ჩვენც მტკალაქებრივ განვითარების სურვილი გვაქვს და ჩვენც, სხვაგვართან თქვენს წინგებრივ თანაგრძნობასა და დახმარებას მდველით.

ჩვენს წინ ოთხი გზა არის. ერთი გზაა—ქართველებსაც ისეთივე უფლებანი მიენიჭოთ, როგორც რუსებსა აქვსთ და ამნაირად მათთან თანასწორნი იყვნენ. მდგენსებრათ, ქართველი ხალხი მდკლებულია იმ შესდუდულ უფლებათა მცირე შედავათსაც და მდარველობას, რომელნიც რუსეთის ხალხს აქვს მინიჭებული. სახელდობრ, ჩვენში დედა-ენა განდევნილია სკოლებიდან, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ნფიც-მსახულთა ინსტიტუტი და არც ადგილობრივი თვითმმართველობა—ერთობა (ზემსტვ). აი, ყველა ამისი მდბეებაა საჭირო თქვენთვის—გვეტყვიან ერთნი. რასაკვირველია, ჩვენ ყოველთვის თანაგრძნობით

მდვეკიდებით ჩვენში ამ რეჭორმების განსდრციელებას. მხოლოდ ვუმატებთ, ამ რეჭორმების შემდლება ჩვენის ცხდვრების ძირითად საჭიროებას ვერ დააკმაყოფილებს. ამ რეჭორმებში ჩვენ არ ვბეულდობთ ჩვენის ერთვნიების დაცვის განანტის და ამიტომ ჩვენი მისწრაფება ამგვარ მტკალაქებრივ წეს-რიგის შემდლებასე უფრო მდრს მიდის.

მეორე გზა არის—რუსეთის ობლზიციასთან შეერთება და საერთო დონით მდნარქიის წინააღმდეგ ბრძოლა, რათა რუსეთში დამყარდეს კონსტიტუცია. ჩვენ შეერთების წინააღმდეგნი არა ვართ, პირიქით, თანავუგრძნობთ მას. მხოლოდ სანამ არ არის გამდრკვეული, რა ხასიათს მიიღებს მდმავალი რუსეთის რეჟიმი, ჩვენ საჭიროდ მიგვანჩია გულანდილად გითხრათ შემდვეკი: ჩვენ გვვის თვალთ ვუყურებთ მდმავალ კონსტიტუციას, თუ მას ცენტრალური ხასიათი მიეცა. ამგვარი რეჟიმი, ჩვენის აწრით, ხელს ვერ შეუწყვდის ჩვენთა კანდნიერ მისწრაფებათა განსდრციელებას. ცენტრალ პარლამენტალურ რეჟიმის საშუალებით უმცირესობა აუცილებლივ იჩაგრება უმრავლესობისაკენ, ასეა ყველგან. არა გვგონია, რომ რუსეთში სხვანაირად მდხდეს, თუ დაარსდა ამ გვარი რეჟიმი. ამიტომ სანამ საერთო პრაქტიკულ მტკმედებას შევუდგებოდეთ, საჭიროა ამ კითხვაში ჩვენი და რუსეთის ობლზიციის მგებრული შეთანხმება.

მესამე გზა არის—საქართველოს სამეფოს აღდგენა. საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თავის ნებით შემდღურთდა რუსეთს იმ ბირდობით, რომ შეერჩინა თავის სამეფო სახლი და ხელმწიფობა. აი თქვენ უნდა ეცადოთ, გვეტყვიან, აღადგინოთ ის, რაც რუსეთმა ძალმდმრეობით წაგართვათ, რადგან საქართველოს ტახტის გაუქმება ქართველ მეფეების სურვილის წინააღმდეგ მდხდად. ამასევე ჩვენ ვუბახუხებთ: ერთის საუკუნის განმავლობაში ჩვენი ხალხი იმდენად დამწიფდა პოლიტიკურად, რომ თავის ერთვულ მისწრაფებათა დახაგავად საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენა აღარ ესაჭიროება. ჩვენს ერთვნიებას სამეფო სახლი კი არ დაიცავს, არამედ იმგვარი დაწყებულეობანი, რომელთა საშუალებით შემდლება ამ ხალხს თავისი აწრი და სურვილი გამდრცხადლხ სდლმე და ეს სურვილიც დაიკმაყოფილდეს კიდეცა.

ამიტომაც არის, რომ ჩვენ ავირჩიეთ მიდონე გზა. დაგვიდგა დრო, როდესაც ხალხს თვითონ სურს თავის დაცვა, მეფეთა დაუნმარებლივ, წარმომადგენელობითის დაწყებულეობათა საშუალებით. ჩვენი სურვილი დამოუკიდებულ სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და ამკარად ვამბობთ, ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მდმხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება—განსაკუთრებულ, საქართველოს პირდებთან შესაფერი, კონსტიტუციის მდბ-

ვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვით სრულიად დამოუკიდებელი. ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს ერთგული ავტონომია მოვიპოვოთ.

ეს მეოთხე გზა ნამდვილ გზათ შორისაა. ჩვენ ავირჩიეთ ამ გზით სიარული, რადგან მხოლოდ ამ გზაზე ვგრძნობთ მკვიდრ ნიადაგს. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ერთგულ ავტონომიისაკენ მიისწრაფვის ქართველების სურვილი, და საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭება რუსეთის მომავალ პოლიტიკურ ორგანიზაციის ევოლუციასაც ხელს არ შეუშლის.

ეს ორი მოხაზრება გვაქვს სახეში—ქართველების მიხრადება და რუსეთის სახელმწიფოს მომავალი ორგანიზაცია. ერთგულ თვით-მმართველობაში ერთგულ ცხოვრების დაცვის და განვითარების სამუალებას ვპოვებთ. მეორეს მხრივ, ერთგულ თვით-მმართველობის მოპოება საქართველოსთვის რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ევოლუციის შედეგი იქმნება. ჩვენის აზრით, რუსეთის პოლიტიკური ევოლუცია ცენტრალურ ხასიათის კონსტიტუციისაკენ არ მიისწრაფვის. ცენტრალური ხასიათის კონსტიტუცია რუსეთში შეიძლება დროებითი მოვლენა, საფეხური იყოს უფრო რთულ პოლიტიკურ განვითარებისათვის. რუსეთი მეტად ვრცელი იმპერიაა. მიუხედავად იმისა, რომ ველიკორუსთა ელემენტს იმპერიშია დიდი ადგილი უჭირავს, რუსეთი ბევრ უცხო ელემენტებისაგანაც შეხდებოდა, იმგვარ პატარა ერებისაგან, რომელთაც დღემდე დაუცავს ერთგული ჭიზინდშია და რომელნიც თითქმის ყველანი ძალათი შემოიერთა რუსეთში. ასე რომ რუსეთის წინაშე შემდეგი პრობლემაა: შემუშავება იმგვარ წეს-წყობილებისა, რომელიც, ერთის მხრივ, აადრძინებს სლავიანთა ელემენტს და მეორეს მხრივ, მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებს ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ეს წეს-წყობილება, ჩვენის აზრით, რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული. ხოლო განმტკიცებული და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერატიულ წეს-წყობილებამდის მიიყვანს.

ყურადღების ღირსია, რას ამბობს ამის შესახებ ცნობილი ფრანგი მწერალი, ანატოლ ლერუა ბოლიე, რომელიც რუსეთის აწმყო მდგომარეობას ხედმიწევნით იცნობს. «ბოლონეთში იგივე სისტემა უნდა დამყარდეს, როგორც ფინლანდიაშია, — ამბობს ლერუა ბოლიე, — ე. ი. დაწესდეს ავტონომია და კონსტიტუცია... დიდად სცდება ის, ვინც დაბრძალებულ პატრიოტულ გრძნობებით ხელმძღვანელობს და ჰეიქრობს, ვითომ რუსეთის პოლიტიკური განათავისუფლება შესაძლებელი იყოს იმ შემთხვევაში, თუ მის ევროპულ პროვინციებში მონობის და პოლიტიკურ

ილტვიზმის (მონობის) სისტემა არ შეიგვალა. ვინც ამნაირად ჰეიქრობს, თვით ცხოვრება ადვილად გაამტყუნებს. ვინც, მეორეს მხრივ, ჰეიქრობს, ვითომ იმპერიაში მცხოვრებელ ხალხთათვის ყველასათვის ერთგვარი დაწესებულებანი უნდა იქმნან შემოდებულნი და რომ ყველანი ერთხანის და ერთგვარ კონსტიტუციას უნდა დაექვემდებარდნ, სცდება, რადგან ყველა ეს ძლიერ ძაგნებელი იქმნება მომავალ რეჟიმის კეთილდღეობისათვის და ამ რეჟიმს წინდაწინვე სახელს გაუტყნს. მართალია, — განაგრძობს ბოლიე, — მარტო 1815 წლის კონგრესის პოლონეთი არ წარმოგვიდგენს ისეთს ერს, რომელსაც რუსეთის იმპერიაში თავისი ერთგული ვინაობა შეურჩენია და რომლის მოთავსება რუსეთის ცენტრალურ კონსტიტუციის ჩარჩოებში უხერხულია. შეიძლება იგივე ითქვას თუ მთელ კავკასიის შესახებ არა, ამიერ კავკასიის შესახებ მაინც, რომელიც 1878 წელში მომხდარ ომის შემდეგ გაფართოვდა. გარდა აზიის ტერიტორიათა, როგორც, მაგალითად, თურქესტანია, რომელიც დიდის ხნის განმავლობაში სამხედრო კოლონიად დაჩნება, რომელსაც განსაკუთრებული განხრები ექმნება მართვა-გამგებობისა, არის დიდი ტერიტორია ფინლანდიის ყურედან მოყვლებული მდინარე პრუტამდე, სადაც სხვა-და-სხვა პროვინციები მდებარეობენ. იმის წყალობით, რომ ამ პროვინციებს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვსთ, იმის წყალობით, რომ აქაურნი მკვიდრნი სხვა-და-სხვა ერებისაგან შეხდებოან, რომელთაც თავიანთი საკუთარი ისტორიული ტრადიციები აქვსთ, ეს პროვინციები ესწრაფვიან ჩამოეგალნენ ცენტრს. ეს პროვინციები არიან: ბალტიის მხარე, ლიტვა, ბელორუსია, ძალორუსია, ბესარაბია, ქვემო ვოლგის ადგილები, რომ არ მოვიხსენიოთ ურალი და ციმბირი, — რომელთაც ცენტრის სიმოძრის მიხედვით შეიძლება დღეს თუ ხვალ ავტონომიის ტენდენციები გაევიძობსთ. მიუხედავად სლავიანთა სიმრავლისა და ერთგვარობისა, რუსეთის მომავლის ორგანიზაციის სიმწევე სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. ამ ორგანიზაციის პრობლემა მეტად რთული კითხვაა. ბოლოც, რასაკვირველია, ამ კითხვას გადასწყვეტენ, მხოლოდ ბევრის ტაატისა და შეიძლება საუკუნოების ბრძოლის და უთანხმოების შემდეგ» *).

ამგვარად სჯის რუსეთის ისტორიის და სოციალურ წეს-წყობილების დიდი მცოდნე და პატივცემული ავტორი. ჩვენის აზრით, ლერუა-ბოლიე ჩვენის საგნის დედა-მარდვს შეეხე. იმისი პირით ჩვენ, რასაკვირველია, არა ვწყვეტთ მომავალ რუსეთის ორგანიზაციის ხასიათს, არც იმას, თუ რა გვარი დამოკიდებულება ექმნება ბოლონეთს, ფინლანდიას და

*) L'Empire des Tsars, par A. Leroy-Beaulieu, vol. II, p. 588, 589.

სხვებს რუსეთთან. ეგ ჩვენს საგანს არც შეეხება. ჩვენი აზრი ის არის, რომ მოვავაგონოთ რუსეთის ლიბერალებს და სოციალისტებს ამგვარ პრინციპის განმარტების საჭიროება, რათა ძმურის დახმარებით ავიცილოთ თავიდან იმ ბრძოლის აჩრდილი, რომელითაც გვემუქრება ზემოქმედებული ავტორი.

ჩვენ, ქართველებს, გვგონია, რომ ჩვენი კერძო ეროვნულ ავტონომიის კითხვა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ დიდ პრინციპთან და ამიტომაც ადვილად რუსეთის მომავალ ფედერაციის კითხვა. შეიძლება ბევრი არ დაგვეთანხმდეს, მხოლოდ ჩვენთვის და საზოგადოთ რუსეთის მომავალ რეჟიმისათვის ფრთად სასარგებლო იქნება, ესეც გამოიკვას ეს საგანი და ნათელი მდებარეობს ამ კითხვას. ჩვენ ვსთხოვთ რუსეთის თავისუფალ პრესას თავის აზრი გამოხატოს ამ საგნის შესახებ. საგანი მძიმეა და აქ ჩვენი შეთანხმება საჭირო, რადგან, ვიმედობთ, ჩვენ მძობა და ერთობა გვსურს და არა განკერძოება და გაყრა. მხოლოდ ჩვენ გვწადის მომავალი ერთობა ეროვნულ და ადგილობრივ სხვა-დასხვაობაზე და დავამყაროთ. ჩვენა გვსურს თავისუფალი და არა ძალ-დატანებული ერთობა.

ჩვენის ცხოვრების მათიანი.

ამორჩეულ მამასახლისების გაუქმება. ჩვენ გვწყენ: მეტად თვალსაჩინო შეიქმნა, რომ რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობას თვით-მმართველობის ყოველი ნაშთის გაუქმება ჰსურს ჩვენში. დღემდე, ასე თუ ისე ჩვენს სოფელს ჰქონდა მინიჭებული თვითმმართველობა. სოფელი ირჩევდა ხანდრე კაცებს, მამასახლისს, მოსამართლეებს და სხვ. თავის საქმეთა მართვისათვის. დღეს ამ თვითმმართველობის გაუქმებაც კი მდუნდომებია მთავრობას. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში განუხორციელებია კიდევაც თავისი განზრახვა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნატორს 30 იანვარს ბრძანება გამოუცხია, ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) ექვსი სოფლის სამამასახლისოდ უნდა გაუქმდებოდნენ (*). არჩეულ მამასახლისების ნაცვლად მთავრობა მათს ადგილზე ნახალდათარ უნტერ-ოფიცრებს ნიშნავს, რომელნიც, რასაკვირველია, სოფლებს კეთილს არ დააყრიან, რადგან ხელგორდ წოდებულ „წესიერების“ დამყარების ცდამი იქმნებიან. ჩვენ უკვე ვიცი რას ნიშნავს, „წესიერების დამყარება“. ამიტომ, არსებულ მდგომარეობის გამწვავების მეტს სხვას არაფერს მოველოთ მთავრობის ამგვარ თავსუფლობისაგან.

ამ ფაქტმა ნათლად დაგვანახვა, რომ მთავრობა არავითარ საშუალებას არ ზღვავს ებრძოლეს ხალხის გამოდგინებას. გურულებს ასე სასტიკად იმიტომ მოეკიდა მთავრობა, რომ გურია, ამ ყამად, საქართველს ერთი იმ ბრ-

ვინციათაგანია, სადაც ხალხი გამოდგინილდა და უკვე გაიგო, ვინ არის მისი ნამდვილი მტერი.

* * *

გურიის თავად-აზნაურების დაბრმავება. ოზურგეთის თავად-აზნაურების კრებას 10 თებერვალს 1903 წ. ამნაირი ოქმი შეუდგენია: „გასულ 1902 წელს ზოგიერთა პრეპარანდისტების წყალობით ოზურგეთის მაზრაში მოხდა გლეხთა არეულობა. გლეხები საქმით, სიტყვით და მოქმედებით ეწინააღმდეგებოდნენ მართებლობისაგან დაწესებულ კანონებს, აგრეთვე გვავიწროვებდნენ ჩვენ, აზნაურთაგან. ჯანდარმთა გამოძიების შემდეგ, პრეპარანდისტებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ გლეხები იმიტომ ჰმორგავდნენ და მოვლავრებდნენ, რომ აზნაურებმა ძალზე შეაწუხეს. ამიტომ ვთხოვდით, ესე ყოველი მდგომარეობა ჩვენი მოხსენდეს მომავალ მაისისათვის დანიშნულ კრებას ქუთ. გუბ. თავ. - აზნაურებისა და ვსთხოვდით ამ კრებას, იშუამდგომელს მთავრობის წინაშე, რომ რაც შეიძლება მალე დაინიშნოს კერძო კომისია გამოსამიებლად და მიწვევების ახასხველად სხენებულის მოძრაობისა, და მასთან ერთად იშუამდგომელნი, რომ მთავრობისაგან ზღმები იყოს მიღებული გლეხების წინააღმდეგ, თავად-აზნაურების დასაცავად“. ამნაირთა წინდაუხედავი დადგენილება გურიის თავად-აზნაურებისა. გაბედივით ვამბობთ, ამ ოქმით გურიის თავად-აზნაურებამ საქართველს წინაშე თავი შეიკრწინა და გამოიჩინა აწინდელ მდგომარეობის შეუგნებლობა. თავ. - აზნაურებმა მთავრობას იწვევს სამეველად, იმ მთავრობას, რომელმაც წავგართვა ყველა, რაც გვებადა, და რომელიც ყოველ სიკეთეს წინ ედობება. ამ მთავრობასთან კავშირი ჰსურს გურიის თავად-აზნაურებს! ნუ თუ არ ესმის ამ აზნაურებს, რომ რუსეთის თვით-მპყრობელობის დღენი დათვლილია და რომ დაკავშირება ხალხის და განათლების მტერთან ნიშნავს ხალხის და განათლების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს. ან იქნება ისე დაბრმავებულია აზნაურებმა თავის წოდებრივის ინტერესებით, რომ ამ ფარგალს იქით არაფრის დანახვა არ შეუძლია! ცუდი გზა ამოღურჩევია აზნაურებებს. ჩვენ ვმომბთ ამ საქციელს და ამასთან ვიწვევთ თავად-აზნაურების გონიერს ნაწილს კარგად ჩაუფიქრდეს ამგვარ საქციელის მნიშვნელობას.

* * *

ოზურგეთი. ოზურგელების გაბრახებას საზღვარი აღარ აქვს. თავად იმდენი ხარჯი აქვს პატარა ოზურგეთის ქალაქს, და დღეს ამ ხარჯს მთავრობამ კიდევ სხვა ხარჯი მიუმატა. მარშან აგვისტოს ოზურგეთში ჩავიყვანეს ეკსპედიცია, 75 ყაზახ-რუსი. და ოზურგეთს დაავალეს ამ მუქთა ჭამია ზრდვის შენახვა. ქალაქს 800 მანეთი დაუჯდა ეს სტუმრიანობა. ამ ფულით სკოლის გახსნაც შეიძლებოდა—ღრი მახწავლებლის ჯამაგითიანად. ყველა ეს მოხდა გუბერნატორის განკარგულებით, — გუბერნატორები, მოგვსხენებათ, ისე მოქმედებდნენ, როგორც მათი სურვილი და ნებაა, კანონებს არ ერიდებიან. გუბერნატორის ამგვარი განკარგულება თვით-მმართველობას ამხობს, მას ძირს უთხრის. ამა მიბმანეთ, რა ნდობა უნდა ჰქონდეს ხალხს კანონისა და კანონიერ დაწესებულებებისა, როდესაც თვით მთავრობის წარმომადგენელნი არაფრად აგდებენ ამ კანონიერ დაწესებულებათ? ჩვენში თვით-ნებობის ბატონობაა, სხვა არაფერი. ჩვენ ვვითხრებ ვითომ, ოზურგეთის თვით-მმართვე-

* ამ სოფლების სახელები: ნიგლითი, მიქელ-გაბრიელი, ჩიხნათი, ჯუმათი, დვანსუი, ბასილეოთი.

ლდბას გუბერნატორის ქცევის განსახივრება მოეწადინა. სოფლ გვერდია, რომ ყველა ეს ტყუილი გარჯა იქმნება. როგორ ვერ გავიგეთ, რომ თვით-მპრებელ იმპერიაში, სადაც არც ერთი მოხელე თავის მოქმედების ანგარიშს ხალხს არ ამოუვს, სადაც საზოგადოების და ხალხის თვით-მოქმედება შეზღუდულია, გუბერნატორია ყოველთვის ძლიერი და ყოველი ადადაშიანი ან დაწესებულება, ვინც მას ედავება, არამცთუ დამნაშავეა, „მსვიდობიანობის და წესიერების“ დამრღვეველიც გამოდის. ოსურგეთის თვით-მმართველობას თავის წარსულში საკმარისი საბუთები აქვს ამის დასამტკიცებლად.

მუშათა მოძრაობა საქართველოში.

(ჩვენის კვლევებზე დაყრდნობით)

მასწავლებელ მეგრეელიძის დამარხვის დროს მდამნდარი არეულობა. ზნათუბის მუშათა გასამართლების ამბავს მოკლე ხანში დაწვრილებით განცდებთ. ამ უამად კი მინდა მოგიხსნათ მასწავლებელ მეგრეელიძის უდროვო სიკვდილის გამო მდამნდარი მუშათა არეულობა.

მეხე მეგრეელიძე სოფლის მასწავლებლად იყო გურიის ერთ-ერთ სოფელში (ძიმიტში). მთავრობის უკუღმართ საქციელის გამო გურიაში არეულობა რომ დაიწყო, სხვათა შორის, მეხე მეგრეელიძეც მეთაურობდა ადგილებზე სალხს და ამის გამო იგი დაპატიმრებულ იქმნა. ერთხანს ოსურგეთის ციხეში იყო და მერე ტფილისს გადმოიყვანეს მეტეხის ციხეში. აქ მან 7—8 თვე გაატარა. უიმისოდაც სუსტი აუბუღობის კაცი ტუხალობამ უფრო დაამბუნა და, განთავისუფლების შემდეგ, დაავადმყოფებული გარდაიცვალა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 31 დეკემბერს. მისმა უდროვო სიკვდილმა დიდი შედგავლენა იქონია ტფილისის მშრომელ ხალხზე და მისი სიკვდილის ამბავი მაშინვე მოედინა მთელს ტფილისს. 1 იანვარს გამოიგა პრეკლამაცია, სადაც დაწვრილებით აღწუსულ იყო მოხე მეგრეელიძის მოქმედება-მოღვაწეობა და ნაჩვენები იყო, როგორ მოქმედებდა იგი დანაშაულების დღეს. სამწუხაროდ, დღესასწაულებისა გამო, მუშათა უმრავლესობა (რეინის გზის სასელო-ნდებისა) სოფლად იყო წასული და იმედი არა ვაკონდა მუშათა თავის მოყრისა. მაგრამ დასაუფლებების დღეს გ. ი. საავადმყოფოდგან გამოხვევების დროს (მეხე მეგრეელიძე დასახალაგებლად ნათესავებმა გურიაში წაასვენეს), მაინც 3000-მდე მუშამ მოიყარა თავი. სოფლ გვერდი არ მოხუღან. როდესაც ცხედარი სადამოხ 3 და ნახევარ საათზედ საავადმყოფოდგან გამოდასვენეს, მაინც და მაინც ბევრი ხალხი არ დასწრებია. დაიძრა თუ არა პრეკლამაცია მიხეილის საავადმყოფოდგან, ხალხი თანდათან ემარტებოდა. მალე მთელი მიხეილის პრეკლამაციი გაიჭედა. კორტეჟი მიდიდა ნელის ნაბიჯით. ასეთი ნელი სიარული ჯულს უწყალებდა პოლიციას, რომელიც თურმე წინდაწინვე მომზადებულიყო... როდესაც კორტეჟი დაუსლავდა ფრანკების ეკლესიასთან შესასვევ ქუჩას, (ვიროჩნი ქუჩას), პოლიციას უნდოდა ხალხი იქით გაებრუნებინა, მაგრამ ხალხმა თავისი გაიტანა და მიხეილის პრეკლამაციით პირდაპირ გასწია. ბაქოს ქუჩის მოსახვევში პოლიციამ ვიდევ მოინდომა კორტეჟის იქით გასვლა, მაგრამ ხალხი თავისას არ იმ-

ლიდა, ვიდრე ყანდართა სამმართველს არ მიადრია; აქ ყანდართა სამმართველს წინ მღვდელს პანაშვიდი გადაასვენებენ და მერე აუსვიეს ქუჩაზე და სადამოხ 6 და ნახევარ საათზედ მიგვალბული რეინის გზის სადგურზე მიასვენებს. სადგურზე პოლიციის გადრეკელებული ძალა დაუსვდა კორტეჟს და მიგვალბულის მიმტანთა. მღვდლისა და მგალობელთა გარდა, ბაქანზე აღარავინ გაუშვეს. ხალხმა დედა იწყო. ამ დროს გამეციკდნენ ყანახები და ხალხს მათრახები დაუმიწეს. შეიქმნა არეულობა. მოუშნადებელი ხალხი დადრთხა, ერთმანეთი გადაქელებს, და გაავთრებულმა ყანახებმა სომ აღარავინ დაინდეს. რამდენიმე დედაკაცი და ბავშვი კინადამ არ გასრისეს. პოლეს ხალხმა სიმსხვევ მივიკრიბა და ხანამ რისამე გარჩევა შეგძლო (სმირი ბინდი იყო), ქვებსა და რაც კი ხელში მოხვდებოდათ ყანახებს ესროდნენ. ბინდმა ყველანი გაჭიანტა. იმ დამეს დატუსაფებულ იქმნა 10—12 კაცი, მაგრამ დამის 12—1 საათზე იხვევ განთავისუფლეს. მთავრობამ ის მღვდელი (ვას. კარბელაშვილი), რომელიც ცხედარს ასვენებდა, უკვე დასაჯა—ადგილი წაართვა.

* * * ამ იანვრის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისის ცხენის რეინის გზის უსახელო საზოგადოებაში მოსამხსნურ მეეტლებმა და მათმა თანამეგობრებმა გაფიცვა მოახდინეს, ჯამავირის მომატებასა და სამეპავო დღის შემცირებას გდილობდნენ. უფროებმა ამ არეულობისათვის 40 კაციერთხელ დაითხოვეს და 30 კაცი მეორეთ. ასე რომ გამარჯვებული იხვე უსახელო გამგეობა დარჩა.

* * * ამას წინათ გამოიგა ტფილისში პრეკლამაცია დღენელ მუშათა პარტიისა რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენებზე, სადაც აწერილია მთავრობის ორპირობა, უსინიდილობა და დღენელ მუშათა თავამედობა.

* * * 23 თებერვალს (ძვ. სტ.) ტფილისში არეულობა მოხდა. გოლოვინის პრეკლამაციის ყველა ქარხნების და რეინის გზის მუშებმა მოინდომეს დემონსტრაციის მოხდენა. პოლიციამ წინდაწინ შეიტყო და, რასაკვირველია, ყოველ დღენისძიებანს ხმარობდა დედალა. სწორედ ამ დროს გოლოვინის პრეკლამაციის ვიდაც მკვდარს მოასვენებდნენ. დემონსტრანტებმა ისარგებლეს ამით და ვითომდაც პრეკლამაციის მიყვებიან, გამოვიდნენ პრეკლამაციის ადმართეს დროსა და დაიწყეს ყვირილი: „ძირს თვით-მწყობებლობა! გაუმარჯულ თავისუფლებას!“ და სხ. ყანახები დაგრივნენ დემონსტრანტებს, გაიმართა ბრძოლა. პოლიცია დროის წართმევას გდილობდა. ერთი გულადი აფიცერი დაეჭაჟა ქალს, რომელსაც დროსა ეკავა. მაგრამ წარმდიგინეთ, მებრძოლი ქალის გპირობა, რეკოლევი დასალა და იქვე გააგრა. ხანმი დფიცერი სასიკვდილოთ გალახეს. ყოველ ქუჩაზე ყვარა თავგახეთქილი ბოქაული და დარაჯები. ამავე მეტაკების დროს ალექსანდრეს ბადში სამი დროსა ამართეს ქალებმა. მათთან მივარდა დარაჯი, ქალმა ბებუთი ჩაჭრა და იქვე წააქცია. დროსა მაინც ვერ წაართვეს. ქალები თმით წაათრიეს ციხეში. არეულობაში გრივნენ მოსწავლეებიც. ჩვენის მხრივ (დემონსტრანტების) ბევრი არვინაა დამავებული.

თვით-მკურნალობის ღამისობა.

(ჩვენის კორესპონდენტისაგან).

რუსეთში დიდი არეულობა და მოძრაობაა. თვით-რემ გადავავლეთ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში რუსეთის ცხოვრებას, არა-ჩვეულებრივ სანასავს დაინახავთ. ამოდრავდა და ალაპარაკდა ხალხის ის ნაწილი, რომელიც სხვა დროს მთავრობის ყურმძღვრით ყმად მიაჩნდა ყველას.

უმთავრესი სახიათი რუსეთის აწინდელ მოძრაობისა ის არის, რომ ეს მოძრაობა ვიწროდ აღარ არის შემოზღუდული, სტუდენტთა და ინტელიგენტთა ფარგალს გასცდა და ხალხის უმრავლესობაც მოიცოლია შიგ. შარშან გლეხთა არაჩვეულებრივი არეულობა მიხდა რუსეთში. გლეხებთან ერთად, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, მუშა ხალხი შეინძრა. და საყურადღებო ის არის, რომ ხალხს, გლეხებსა და მუშებს საზოგადოების ეგრედ წოდებულმა «მშვიდობიანმა» ნაწილმაც კი ააყლია ფეხი.

უმთავრესი მიზეზი გლეხთა მოძრაობისა—შევიწროება და ხიდატაკვა. რუსის გლეხი აუტანელ პირობებში სცხოვრობს. სახელმწიფო მეტად დიდ გადასახადს სთხოვს, გლეხი კი აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც კი ვერ უძლებს*). მისი დაჩაგრული მდგომარეობა გამომწვეულია ხიდარბით, გაუნათლებლობით და მისის ადამიანურ პიროვნების დამცირებით. გლეხს მთავრობის იმედი დაუკარგა. რაგი დაწმუნდა, რომ მთავრობა აღარაფერს მიშველის, განიწრასა თავის თავის პატრონობა.

ქალაქის მუშა გლეხსე უფრო შეგნებულად არის და მოქმედებს. მუშათა მოძრაობას რუსეთში, გარდა ეკონომიურ სახიათისა, პოლიტიკური ელფერიც ადევს. საგა კი მუშათა არეულობა ხდება, საგა კი წითელ დროშას ააფრიალებენ ხოლმე, ყველგან აღიარებენ მონარქიულ წყობილების დამხრბის და პოლიტიკურ თავისუფლების დამყარების საჭიროებას. რუსის გლეხს პოლიტიკური შეგნება იმდენად არ აქვს გავიძობული, რამდენადაც ამას ვხედავთ მუშა ხალხში. გლეხთა მოძრაობას უფრო ეკონომიური, სოციალური სახიათი აქვს. ისინი უფრო მეტაძლეუთ ემუქრებიან, ვიდრე მთავრობას. ქალაქის მუშამ შეიგნა, რომ მისი ეკონომიური განვითარება შეუძლებელია, ხანამ რუსეთში თავისუფალი რეჟიმი არ დაფუძნდება, ხანამ ხალხს პოლიტიკური უფლებანი არ მიენიჭება.

* 1901 წ. წოდებულ სოფლის საზოგადოებათ განაჩენი დაადგინეს და მთავრობას დასმარება სთხოვეს. მინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი შემოღუთავლა, რადგან ამ სამინისტრომ არაა, თითოეულ გლეხის ოჯახს 42 ფუთი ფქვილი აქვს წელიწადში. ხოლო საეროდ კომიტეტთა გამომკველის თანახმად ვიცით, რომ სამთალო მდხავლიან წლებში თითო ოჯახს პირად საჭიროებებისათვის წელიწადში სარჯავს არანაკლებ 80 ფუთ ფქვილისას.

საყურადღებო კიდევ ის არის, რომ მშვიდი, მორჩილი და წყნარი რუსეთის საზოგადოებაც ამოდრავდა. მველ დროში ამ გვარ მოძრაობაში სტუდენტები თუ ჩაერვედნენ ხოლმე. საზოგადოების დიდი უმრავლესობა პოლიტიკურ კითხვების ინტერესს არ იჩენდა. სშირად სტუდენტების წინააღმდეგეც იყო ხოლმე. ახლა სულ სხვა დრო დადგა. ესლა მოძრაობაში ჩაერთა საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც ეკონომიურად უწრუნველყოფილია, რომელსაც ლუკმა პურის მოძობების ფიქრი არ აწუხებს. მოძრაობაში საზოგადოების ამ ნაწილის ჩარევაყ ყველას ნათლად დაანახვა, რომ მონარქიულ წესის მგველად, გარდა მხედრობისა, აღარავინ დარჩა რუსეთში, თუმცა მხედრობასაც დაეტყო რაღაც უნდობლობა და ჩაფიქრება. მხედრობაშიაც ვრცელდება აწრი, რომ რუსეთი ახალ გზას უნდა დაადგოს.

ამ საერთო მოძრაობის ასალაკმაკად, რეკოლიუციის ჩასაქრობად, რუსეთის მთავრობა არავითარ საშუალებას არ წოდგავს. ურჩ გლეხებს 800,000 მანეთს ახდეკინებს შემაძლეუთა დანაკარგის ასანაწლათრებლად. ხოლო ამასთან, მოსაჭკუიანებლად, რამდენისამე სოფლის გლეხი სამარცხვინოდ გაწკებლა. ამ გვარადვე სამარცხვინოდ გაწკებლეს ვილნოს მუშები. მუშას პერანგის ამხანაგს ჩასდიდნენ და 20—50 ჯერ წკებლას დაჭკრავდნენ ხოლმე. მუშას რომ გული შეუწუხდებოდა, მოაბრუნებდნენ, პატარას შეაჩერებდნენ და მერე ისევ დაეხვედნენ. ამ საწარულ საქციელის დროს ვილნოს გუბერნატორი ფონ-ვალი იქვე იმყოფებოდა და სიამოვნებით უღვაშებში იცინოდა თურმე (ფონ-ვალი მუშა ლეკავტოს სამაგიეროდ უნდოდა მეკვლა, მაგრამ რეკოლვერი ააცდინა. ლეკავტო ჩამოაღრჩეს). ხოლო მთავრობა გაწკებლას აღარ სჯერდებოდა. მუშებს უბრალდ გაფიცვისათვის ყაწახ-რუსებს და ჯარს მიუხეკვს ხოლმე, რომელნიც ხალხს ისე სოცვენ, როგორც ნადირს. რესტოვის და უფის მუშათა სოცვა ვკლუთ და ბარბაროს მთავრობის სამარცხვინოდ მოსავონებლად დარჩება სამუდამოდ. ყაწახების შესახარ ველურობის შესახებ დონის კომიტეტის პროდკლამაციაში, სხვათა შორის, აი რას ვკითხულობთ: «მუშა ობოენკო, რომელიც არც კი დასწრებია მუშათა ყრილობას, შინისკენ მიდენილა და სვლში ორი წყლით სავსე ხათილი სჭერია. ერთმა ყაწახმა თოფი დაუშინა ამ მუშას და იქვე გაავტრა. მეორე ყაწახი, რომელსაც ერთ მუშის დაჭკრა სდომებოდა, ამ მუშის სახლში შეხულა. მუშის ცოლმა გზა შეუკრა ყაწახს. ამ უკანასკნელმა, არც აცივა არც ანსელა, შუასე გადაჩენა ქალი... ამ შემამძწუნებელ საქციელს ყაწახთა ატამანი არ დახჯერდა. ბძანება გასცა, აჭყარეთ მუშები რკინის გზის ყაწარმებიდამოდ. ყაწახები დეგვივნენ მათს ავეკველობას, ფანჯრებიდან ისროდნენ ყუთებთან ერთად ბავშვებს, ამტკ-

რეკონსტრუქციის და იპარავდნენ, რასაც იბოვნიდნენ. მოვ-
დანსე, სადა ეს სიმსხვე ჩაიდინეს, ადამიანის სხეუ-
ლის ნაგლეჯებს, დასოცდებებს და მიძიმედ დაჭრი-
ლებს—და დაინახავდით».

მთავრად არც საერთოდ მშვიდი მდღეაწუთ აყრის
გეითილს. დაჰსაჯა, დასტუქსა, სამსახურიდამ დაით-
ხვავა ყველანი, ვინც კი საეჭვოდ იყო მისთვის, ვინც
გაჭიბედა და მართალი აღიარა საგანგებოდ დაარსებულ
კომიტეტების სხდომებზე. პატივცემული პედაგოგი
ბუნაკოვი საცხოვრებლად სოფელში გაგზავნეს, სადაც
პოლიციას ჩააბარეს ყურის საკვებლად. საპედაგოგიოდ
მდღეაწუთების უფლებანი წაართვეს და ასე მსხვერპლად
იმიტომ—და მოექცნენ, რომ ბუნაკოვი უშიშრად აღი-
არა კომიტეტის სხდომაზე, ხალხს არა ეშველება, სა-
ნამ მეტი თავისუფლება არ მიეცემა და სანამ რუ-
სეთში პირუტყვის პატივისცემას არ შეეჩვევიანო.
ამგვარივე ბედი ეწია მარტინოვს და შკედრინს, სტა-
ხოვიჩს, შიპოვს, დოღვორუკოვს და ბევრ სხვა
წარჩინებულ პირთ: ზოგი სამსახურიდამ დაითხვეს,
ზოგს საყვადური გამოუცხადეს ამავე სიძარტლის
თქმისათვის.

ცუდ დღეში ჩავარდა მთავრობა. აღარ იცის, ვის
ენდეს, ვისზე დაემყარდეს. მიუმატეთ ამას ისიც,
რომ რუსეთის განაპირა ქვეყნებსაც არაჩვეულებრი-
ვი მოძრაობა დაეცყო. მშვიდი ფინლანდია, მას
შემდეგ რაც რუსეთმა მის კონსტიტუციის გაუქმება
მოინდომა, რუსეთს მტრად გადაეჭრა. პოლონეთში
და მოლონდისიაშიაც დიდი უკმაყოფილებაა. ყველ-
გან მოქმედებენ და ემზადებიან დიდი ბრძოლისათვის.
ნუ თუ საქართველს სხვებს ჩამოუტრეხება? არა გვგონია.
ჩვენც გავიღვიძოქნით, ჩვენც გვინდა ჩვენის ღირსების
დაცვა, ჩვენც მომავლისაკენ გვიჭირავს თვალი.

რუსეთის ქრონიკა.

ამას წინად სუდჟანის საერთოდ გამგებობის თავჯდომარე
თავადი დოღვორუკოვი სამსახურიდამ დაითხვეს, რად-
გან თ. დოღვორუკოვს მთავრობა ეჭვის თვალთ უყურებ-
და. ამ დღეებში საერთოდ საბჭოს სხდომა იყო დანიშნული
ასალი თავჯდომარის ამდგარჩვევად. მაგრამ თავჯდომარე
ვერ ამდარჩიეს, რადგან არც ერთმა სმოხანთაგანმა დოღ-
ვორუკოვის პატივისცემის გამო ყუთი არ დაიდგა (თავისუ-
ფალი ორგანო—„დსვობოდენი“).

— სამხედრო რევოლუციონერთა ორგანიზაციას შემდე-
გი მოწოდება დაუნიჭებია ოფიცერთა წრეებში: „მშებო!
მსხედრება სისხლი და სდრგია ხალხისა. იგი ხალხისათვის
და მის ინტერესებისათვის უფრო არ უნდა იყო. ჯარის
ადგილი იქ კი არ არის, სადაც ჯაჭვებსა სჭედენ, არამედ
იქ, სადაც ჯაჭვებს ამსწვრვიენ. ხალხი ჯართან შეერთებუ-
ლი უსამართლობას აღმოცხვრის და ბედნიერებას მოიპო-
ვებს! თქვენი დასმარებაა საჭიროდ. თქვენ ვეღარ გადაარ-
ჩენთ იმას, ვისი დღენიც დათვლილია. ნუ ამრავლებთ მე-
ბრძოლთ სამართეა რიცხს. თვით-მპყრებელთა უნდა და-
ემსხვ—გვ მისი ისტორიული წერა“ („ისკრა“ № 35).

— ბ. გუროვიჩი, რომელიც რუსეთის საზღვარ-გარეთელ
ორგანიზაციათა წარმომადგენელთ მიერ პროვოკატორად და

მთავრობის აგენტად იყო ცნობილი, ამ ყამად პეტერბურგში
იმყოფება და იქ ახალგაზრდობის წრეებში თავის მოქმედე-
ბას განაგრძობს. („დსვობოდენი“ № 18).

— გენერლ ზოვოლდისათვის, კანტის ფილდოვლის
მთავრმგელისათვის, მიუნიციპალიტეტის ყველა არა-ლეგალურ გამო-
ცემათა დასახიათება.

— მთავრობის ყოველ მოქმედებასა და განკარგულებაში
გამოიყურება შიში ხალხის გამოცხინიშლებისა. ამ უკანას-
კნელ ხანს განათლების სამინისტრტომ შეავსო იმ წიგნების
კატალოგი, რომელთა სმარებაც სახალხოდ სამკითხველთებსა
და წიგნთსაგაგებში ნება დართულია. ამ სიაში პირველი
ადგილი უჭირავს: ა) სასულიეროდ გენერლისაკენ დამტკიცე-
ბულ ქურნალ-გაზეთებს, ბ) მთავრობის გამოცემათა და გ)
იმ სპეციალურ ქურნალ-გაზეთებს, რომელნიც არ შეიცავენ
პუბლიცისტიკას და ლიტერატურას. ამრიგად, მთავრობას
ნებადართულ პუბლიცისტიკასა და ლიტერატურისაც კი
ემინიან. ემინიან ყველაფრისა, სადა კი აწრისა და მსჯე-
ლობის ნახანი მოიპოვება. რა არის ეს შიში თუ, არ უღ-
ნობა?

სამართალი საზოგადოებრივი დასახისი.

გაზეთებში ვკითხულობთ: «სახელმწიფოდ საბჭოს
13 მარტს საჭიროდ უცვნია დასტავდეს ამიერ-კავკა-
სიაში საერთოდ საპოლიციოდ დარაჯნი. ამასთან, შე-
სანანი იხვე საერთო თანხიდან უნდა გადაიდეს. სა-
ზინა მხლოდლდ შემწეობას აღმოუჩინებო».—ამტიგად
დაბოლოვდა ჩვენი თავად-აწნაურების შუამდგომ-
ლობა ამ დარაჯების გაუქმების შესახებ. ნუ თუ ეს-
ლაც არ დარწმუნდებიან ჩვენი მდნარქისტები, რომ
არც «დასაბუთებული ქაღალდი», არც სიძარტლის მდ-
საწრება, არც ქართველ თავად-აწნაურების ვითომ-
და ავტორიტეტი და მნიშვნელობა,—ყველა ეს კავკა-
სიის ადმინისტრაციას სასაცილოდაც არ ჰყოფნის.
«იუბილის» დროს სულ ის გვესმოდდა, წყნარად იყა-
ვით, მთავრობას ისეთი ქაღალდები გაუგზავნეთ,
რომ, ეჭვი არ არის, მთავრობა ჩვენს საჭიროებას და-
კმაყოფილებსო. და აი ესლა, როდესაც ამ თხოვნე-
ბის შემდეგ, ჩვენი ბანკების თვით-მოქმედება მოის-
პო, საპოლიციოდ დარაჯი გამტკიცდა, ესლა გამდ-
ჩნდა სასაცილოდ გულუბნყვილობა და დაბრძავება
ჩვენის თავად-აწნაურების ერთის ნაწილისა.

«საქართველოს» ფოსტა.

«**ბაშბარჯოს თავისუფლება**ს» წერილის ავტორს. თქვე-
ნი წერილი შემდეგ ნომერში დაიბეჭდება. მოველით
თქვენგან დასაბუთებულ სხვა წერილებსაც.

«**საქართველოს**» ავტორს. საბუთებისათვის გმადლობთ.
წერილი დაიბეჭდება.

მეზობლებს. მცირე ცნობები მივიღეთ. დაპირებულ საბუ-
თებს მოველით.

სოფლის მასწავლებელს. თქვენი დასმარება ჩვენთვის
დაუფასებელია.

მკითხველს. ნუ დაივიწყებთ სათაურში მოყვანილ თხოვნას.
თვითეული ნომერი გადაეცემა თქვენს შევებარს
და იმასაც დაავალდებულ გადასცემა, თავის მხრივ, შესაძ-
პირს. შესაძებ გადასცემა მედონეს და სხვა.

ქორეპონდენტებს. ასალი ამგების გამოგზავნა დააშურეთ,
რათა ყოველივე რაც ჩვენს ქვეყანას შეეხება, სხვა გა-
ზეთებზე ადრე შეგვეძლოს გამოვსაქვეყნოთ.